სსიპ „კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“

პროგრამა

სპორტული და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა

(პროგრამის კოდი 06 27 03)

ქვეპროგრამის აფხაზეთის სპორტული კლუბების და გუნდების ფინანსური მხარდაჭერა

(ქვეპროგრამის კოდი: 06 27 03 08)

განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ა) ეს წესი განსაზღვრავს, სსიპ - „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) ქვეპროგრამა აფხაზეთის სპორტული კლუბების და გუნდების ფინანსური მხარდაჭერა (ქვეპროგრამის კოდი: 06 27 03 08) კომისიის მუშაობის წესსა და ქვეპროგრამის განხორციელების პროცედურებს.

ბ) ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით სააგენტო ქმნის კომისიას (შემდგომში „კომისია“).

გ) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა.

მუხლი 2. დაფინანსებისთვის განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით ასპარეზობა;

ბ) კლუბი რეგისტრირებული უნდა იყოს 2025 წლის 01 იანვრამდე;

გ) დაფინასების მიმღების სუბიექტი არ შეიძლება იყოს ის კლუბი/გუნდი, რომელიც 2025 წლის განმავლობაში დაფინანსდა სააგენტოს ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში.

დ) განაცხადების მიღების პირველ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად საფეხბურთო კლუბი/გუნდი არ უნდა ფინანსდებოდეს ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან;

ე) განაცხადში წარმოდგენილი ბიუჯეტი პირველ ეტაპზე არ უნდა აჭარბებდეს დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;

ვ) მეორე ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადის ბიუჯეტი თუ აჭარბებს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობას, კომისია განიხილავს გუნდის/კლუბის საჭიროებას არსებული ბიუჯეტის ფარგლებში.

განაცხადების I ეტაპი:

1. ფეხბურთი არა უმეტეს 30 000 ლარი.
2. დანარჩენი სხვა სპორტის სახეობები არა უმეტეს 15 000 ლარი.

განაცხადების II ეტაპი:

1. ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე წარმატებული გუნდ(ებ)ის/კლუბ(ებ)ის მიერ შემოტანილი განაცხადი სააგენტოში მოქმედი კომისიის მიერ განიხილება ამ წესით გათვალისწინებული განაცხადის დასაშვებობის ძირითადი კრიტერიუმებისგან დამოუკიდებლად.
2. კომისია ითვალისწინებს ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე წარმატებული გუნდ(ებ)ის/კლუბ(ებ)ის მიერ მიღწეულ შედეგებს და მომავალში არსებულ შესაძლებლობებს, შესაბამისად განაცხადში მოთხოვნის საჭიროებათა სრულყოფილად დასაბუთების შემთხვევაში აკმაყოფილებს მას.
3. ამ წესის შესაბამისად, განაცხადის დასაშვებობის ძირითადი კრიტერიუმების ,,ვ" პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლეს ლიგებში მოასპარეზე წარმატებული გუნდ(ებ)ის/კლუბ(ებ)ის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ერთ განაცხადზე გასცეს ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის გუნდ(ებ)ი/კლუბ(ებ)ი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე არაუმეტეს - 80 000 ლარის ოდენობით, ფეხბურთის (ლიგა 2, ლიგა 3, ლიგა 4), კალათბურთის (ა-ლიგა) და რაგბის (I ლიგა) კლუბ(ებ)ი/გუნდებ)ი, მოასპარეზე არა უმეტეს - 10000 ლარის ოდენობით, ფეხბურთი, კალათბურთი და რაგბი რეგიონალურ, ასაკობრივ და ქალთა ლიგებში მოასპარეზე არა უმეტეს - 5000 ლარის ოდენობით.
4. მეორე ეტაპზე, სააგენტოში მოქმედი კომისიის მიერ პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, სადაც გუნდების/კლუბების მიერ მოთხოვნილია არსებული საიჯარო დავალიანების დაფარვა.

პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება:

ა) ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების შეძენასთან;

ბ) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ხარჯები;

გ) შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული ხარჯები;

მუხლი 3. დაფინანსების მიმღები სუბიექტის განსაზღვრა

1) ა) დაფინანსების მისაღებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა (მხოლოდ სპორტული კლუბები/გუნდები) განაცხადის რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ პორტალს მისამართზე: https://portal.abkhazia.gov.ge და დაარეგისტრიროს სასურველ პროგრამაზე განაცხადი ონლაინ, ასევე დამატებით უნდა მიმართოს სააგენტოს იურიდიულ მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68, მეხუთე სართული ან გამოაგზავნოს სააგენტოს

ოფიციალურ ელექტრონულ მეილზე Info@csya.ge (ამ შემთხვევაში განაცხადზე გამოყენებული უნდა იქნეს ელექტრონული ხელმოწერა, გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ). რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ განაცხადებისა და დამატებითი დოკუმენტაციების მიღება განმცხადებლის ინიციატივით დაუშვებელია.

ბ) განცხადებას უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი შემდეგ დოკუმენტაციებთან ერთად:

1. საბანკო რეკვიზიტები;
2. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (ამონაწერი განახლებული უნდა იყოს განცხადების შემოტანიდან ბოლო ერთი კვირის განმავლობაში);
3. შესაბამისი ფედერაციების მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც მოცემული იქნება გუნდების შესახებ ინფორმაცია (მაგ.: რომელი გუნდი, რომელ ლიგაში თამაშობს და ა.შ).
4. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ გაცემული ცნობა დავალიანების შესახებ;
5. გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. შესაძენი საქონლისთვის ბაზრის კვლევის სამი ინვოისი;
7. გუნდის/კლუბის საქმიანობასთან დაკავშირებული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იჯარა):
8. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის შესაბამისობას განცხადების კომისიისთვის წარდგენამდე ამოწმებს ქვეპროგრამის კოორდინატორი.

გ) კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროგრამასთან დაკავშირებით განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის, ვიზუალური მასალისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

დ) თუ პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს განმცხადებელის საქმიანობასთან დაკავშირებული დავალიანების დაფარვას, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ვალდებულების ან დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. დავალიანება ან ვალდებულება წარმოშობილი უნდა იყოს 2025 წლის 01 იანვრიდან. ქვეპროგრამა 2025 წლის 01 იანვრამდე წარმოშობილი ვალდებულებებისა და დავალიანებების დაფარვას არ ითვალისიწინებს. ქვეპროგრამა ასევე არ ითვალისწინებს იმ დავალიანებისა და ვალდებულებების დაფარვას, რომლის შედეგადაც კლუბს/გუნდს ადევს/დაედება ყადაღა ან ინკასო.

ე) საპროექტო განაცხადის ფორმას ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

ვ) ამ ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს კომისიისთვის 2025 წლის 01 იანვრამდე რეგისტრირებული, აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების/გუნდების შესახებ შემოსული განაცხადების წარდგენას.

ზ) სააგენტო, ამ ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით, შექმნილი კომისიის მეშვეობით განიხილავს და განსაზღვრავს დაფინანსების მიმღებ სუბიექტებს.

თ) ქვეპროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებისთვის გასაცემი დაფინანსების ოდენობასა და დანიშნულებას განსაზღვრავს კომისია წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით, გუნდების/კლუბების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ი) წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხმგებელია დაფინანსების მიმღები სუბიექტი.

შენიშვნა: განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, კომისია მხედველობაში მიიღებს დაფინანსების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, გუნდის საჭიროებებიდან და ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუკი დაფინანსებლის მაძიებლების მიერ მოთხოვნილი თანხა საერთო ჯამში აჭარბებს ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობას, კომისია უფლებამოსილია კენჭისყრით გადაანაწილოს თანხები (ასეთ შემთხვევაში, თანხის გადანაწილების პრინციპს ირჩევს კომისია და უყრის კენჭს).

მუხლი 4. კომისია

ა) კომისია შედგება არაუმეტეს 9 (ცხრა) წევრისა, რომელსაც ნიშნავს სააგენტოს დირექტორი.

ბ) კომისის თავმჯდომარეს, მოადგილეს, წევრებს და სხდომის მდივანს ნიშნავს სააგენტოს დირექტორი ბრძანების საფუძველზე.

გ) კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი.

დ) კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილება).

ე) კომისია უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევას და ადგენს, რამდენად სრულყოფილია წარმოდგენილი საბუთები.

ვ) კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, კანდიდატს დამატებით ეთხოვოს საჭირო დოკუმენტის წარმოდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

ზ) კომისიის გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

თ) კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ წინამდებარე წესს, ქვეპროგრამით განსაზღვრულ რეგულაციებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. ნებისმიერი ტიპის ზემოქმედება კომისიის წევრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია.

ი) კომისიის თითოეული წევრი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

კ) თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, რეგულაცია ან წესი, კომისია იყენებს კანონს ან/და წესს რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, კომისია ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

ლ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სააპლიკაციო ფორმას და დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს კომისია, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

განაცხადის შეფასების ფორმა	
შინაარსობრივი კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება
განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს სრულყოფილად შევსებული სააპლიკაციო ფორმა და სრულად აქვს წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია.	20 ქულა
განაცხადში დეტალურად არის აღწერილი პროექტის მიზნები და ამოცანები, წარმოდგენილია პროექტის აღწერა, რისკები და მათი გადაჭრის გზები.	20 ქულა
წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიასთან, პროექტის აქტივობებში ჩართულ პირებთან დაკავშირებით.	20 ქულა
დაგეგმილია მხოლოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაშვებული ხარჯები და წარმოდგენილი ფასები საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობაშია.	20 ქულა
წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია პროექტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა გავლენას მოახდენს პროექტის დაფინანსება სამიზნე აუდიტორიაზე და განმცხადებლის განვითარებაზე.	20 ქულა
ჯამი:	*100 ქულა*

მუხლი 5. დაფინანსების გაცემა

დაფინანსება განხორციელდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით) რომლის საფუძველს წარმოადგენს კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწვეტილება (საოქმო გადაწყვეტილება).

მუხლი 6. ხელშეკრულების დადება

ა) სააგენტოსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის ურთიერთობა წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ბ) ხელშეკრულების ვადის პერიოდში დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია იასპარეზოს აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით.

გ) ამ მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია სააგენტოს დაუბრუნოს მიღებული თანხა სრულად.

შენიშვნა: ხელშეკრულების გაფორმებამდე სასურველია დაფინანსების მაძიებლის მხრიდან ცნობის წარმოდგენა შესაბამისი ბანკიდან იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშს არ ადევს ინკასო (ცნობა გაცემული უნდა იყოს წარმოდგენიდან ბოლო სამი სამუშაო დღის განმავლობაში).

მუხლი 7. თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენა და კონტროლის განხორციელება

ა) დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია **2025 წლის 10 დეკემბრის** ჩათვლით წარმოადგინოს სააგენტოსგან მიღებული თანხის მიზნობრივად ხარჯვის თაობაზე შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან აუდიტორული დასკვნა[1]. აუდიტორული დასკვნა გაცემული უნდა იყოს "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სერთიფიცირებული და ლიცენზირებული აუდიტორული ფირმის მიერ.

ბ) აღნიშნული აუდიტორული მომსახურების ანაზღაურება დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შეუძლია დაფინანსების ფარგლებშიც შესაბამისი ინვოისის წარმოდგენის შემთხვევაში.

გ) აუდიტის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზედაც დაიწერა დასკვნა (სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შეძენის შემთხვევაში აუცილებელია აუდიტორმა განახორციელოს ვიზიტი გუნდის/კლუბის იურიდიულ მისამართზე და დასკვნას დაურთოს შეძენილი ეკიპირებისა თუ ინვენტარის ფოტო მასალა და ვიზიტის შესახებ აღნიშნოს დასკვნაში).

დ) დაფინანსების მიმღებ სუბიექტს აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება წარმოეშობა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე[2].

ე) თუკი, კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსების მიმღებ სუბიექტს არ წარმოეშობა აუდიტის დასკვნის წარმოდგენა, ამ შემთხვევაში სააგენტოს სპორტის სამსახური უზრუნველყოფს თანხის მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგს (ინვენტარის შემთხვევაში გასვლითი ღონისძიება, ინვენტარის დასურათება).

ვ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული პირობების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაშ დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია სააგენტოს გადაუხადოს პირგასამტეხლო ამ ქვეპროგრამის ფარგლებში სააგენტოსგან მიღებული თანხის 0.05 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (მაქსიმალური ვადაგადაცილების დღეები 15 კალენდარული დღე).

ზ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია სააგენტოს დაუბრუნოს მიღებული თანხა სრულად, ამასთანავე სუბიექტი კარგავს სააგენტოსგან ნებისმიერი დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში თუკი დაფინანსების მიმღები სუბიექტი არ დაუბრუნებს სააგენტოს მიღებულ თანხას სრულად საქმე გადაეცემა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

---

[1] აუდიტორული დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაფინანსების მიმღები სუბიექტს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ევალება აუდიტის დასკვნის წარმოდგენა.

[2] შენიშვნა: კომისია აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის ვალდებულების გადაწყვეტილებას იღებს გაცემული დაფინანსების ფარგლებში, შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად.

თ) იმ შემთხვევაში, თუკი დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა მიღებული თანხა სრულად ვერ აითვისა, აუთვისებელი თანხა უნდა დააბრუნოს სააგენტოს მიერ მითითებულ სახაზინო ანგარიშზე.

ი) სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო უფლებამოსილია არ დააფინანსოს არც ერთი მიღებული განაცხადი.

მუხლი 8. დაფინანსების ადმინისტრირება

ა) სააგენტო უფლებამოსილია დაფინანსება გასცეს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ (გრაფიკი გაწერილი უნდა იყოს ხელშეკრულებით). კომისია იკრიბება წელიწადში ერთხელ და განსაზღვრავს დაფინანსების მიმღები სუბიქტისთვის გასაცემი თანხის ოდენობას და გაცემის წესს, ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარის ან/და კომისიის წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია კომისია შეიკრიბოს რამდენჯერმე (საჭიროებიდან გამომდინარე საკითხის ობიექტურად, კანონიერად და სამართლებრივად გადაწყვეტის მიზნით).

ბ) დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს თანხის მიზნობრივად ხარჯვა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

ა) დაფინანსების მიმღებ სუბიექტს თანხა გადაერიცხება ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

ბ) დაფინანსების მიმღები სუბიექტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში (მთლიანად ან ცალკეულ პუნქტებში) უცხოური ვალუტის (ლართან მიმართებით) სავარაუდო გაცვლითი კურსის მითითების შემთხვევაში, აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მხრიდან დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შესაბამის ანგარიშზე ჩაერიცხება მის მიერ მოთხოვნილი საერთო თანხა ლარში (იმ დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად).

მუხლი 10. კორდინატორი

კორდინატორის ფუნქცია-მოვალეობებს განეკუთვნება:

ა) განმცხადებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადებების, მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შესწავლა და შემდგომ კომისიისთვის წარდგენა;

ბ) გამცხადებლის მხრიდან ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განმცხადებლისთვის გონივრული ვადის განსაზღვრა (კურატორი განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადას).

გ) კომისიის შეხვედრების ორგანიზება და საჭირო ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფის შეთანხმება სათანადო სტრუქტურულ ერთეულებთან;

დ) კომპეტენციის ფარგლებში განმცხადებლებისთვის გასაგზავნი კორესპონდენციების პროექტების მომზადება;

ე) დაფინანსების მიმღებ სუბიექტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარებების პროექტების მომზადება და მხარეთათვის ხელმოსაწერად წარდგენა.